



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი  
 განათლების მეცნიერებების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

**სადოქტორო კვლევითი პროექტისა და მისი პრეზენტაციის, პროგრამაზე სწავლის  
 გაგრძელების მოტივაციის შეფასების კრიტერიუმები**

შეფასების კრიტერიუმები:

1. საკვლევი თემის/საკითხის აქტუალობა/მნიშვნელობა და მისი დასაბუთება
2. კვლევის სიახლე და ინოვაციურობა
3. კვლევის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება
4. კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან
5. შერჩეული საკვლევი საკითხის ცოდნა
6. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება
7. კვლევითი განაცხადის შესრულების ტექნიკური მოთხოვნების დაცვა
8. პრეზენტაბელურობა, დისკუსიაში მონაწილეობა და პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია

შეფასების რუბრიკა:

№	შეფასების კრიტერიუმები	ქულა
1	კვლევის განაცხადი შესრულებულია არსებული ინსტრუქციის შესაბამისად, სრულად არის დაცული ნაშრომის შესრულების ტექნიკური მოთხოვნები, ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე სრულყოფილად არის დასაბუთებული საკვლევი თემის აქტუალობა, სიახლე, მნიშვნელობა და ინოვაციურობა, კვლევის მიზნები და ამოცანები ფორმულირებულია ნათლად და მათ შორის კავშირი ლოგიკურია, შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია სრულ შესაბამისობაშია კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან, კვლევის მოსალოდნელი შედეგები ინოვაციურია და გააჩნია სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება. კანდიდატი სრულყოფილად გადმოსცემს საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ავლენს უახლესი მონაცემების/ინფორმაციის მოძიების უნარს, მართებულად იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას, აქვს საკვლევი საკითხის სისტემური ცოდნა, შეუძლია პრობლემის კრიტიკული გააზრება, მკაფიოდ აყალიბებს აზრს და მსჯელობს არგუმენტირებულად, ძალიან კარგად იცავს დისკუსიის წესებს, კითხვებზე პასუხი სრულყოფილი და ამომწურავია, შემოქმედებითად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს, აქვს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების ძალიან მაღალი მოტივაცია	91-100
2	კვლევის განაცხადი შესრულებულია არსებული ინსტრუქციის შესაბამისად, ძალიან კარგად არის დაცული ნაშრომის შესრულების ტექნიკური მოთხოვნები, ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე კარგად არის დასაბუთებული საკვლევი თემის აქტუალობა,	81-90

	<p>სიახლე, მნიშვნელობა და ინოვაციურობა, კვლევის მიზნები და ამოცანები ფორმულირებულია ნათლად, თუმცა იშვიათ შემთხვევაში მათ შორის კავშირი ლოგიკური არ არის, შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან, კვლევის მოსალოდნელ შედეგებს გააჩნია სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება. კანდიდატი გადმოსცემს საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ავლენს საკმარისი მონაცემების/ინფორმაციის მოძიების უნარს, იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას, აქვს საკვლევი საკითხის სისტემური ცოდნა, შეუძლია პრობლემის გააზრება, მსჯელობა არგუმენტირებულია, კარგად იცავს დისკუსიის წესებს, კითხვებზე პასუხი ამომწურავია, კარგად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს, აქვს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მაღალი მოტივაცია</p>	
3	<p>კვლევის განაცხადი მცირედი უმნიშვნელო ხარვეზებით შესრულებულია არსებული ინსტრუქციის შესაბამისად, მეტწილად არის დაცული ნაშრომის შესრულების ტექნიკური მოთხოვნები, ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე სუსტად არის დასაბუთებული საკვლევი თემის აქტუალობა, სიახლე, მნიშვნელობა და ინოვაციურობა, კვლევის მიზნები და ამოცანები ფორმულირებულია, თუმცა აკლია სიცხადე, შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია მეტწილ შესაბამისობაშია კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან, კვლევის მოსალოდნელ შედეგებს გააჩნია სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება. კანდიდატი გადმოსცემს საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას, თუმცა შესაძლებელი იყო მეტი მონაცემების მოძიება, მეტწილად მართებულად იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას, ნაკლებად იკვეთება საკვლევი საკითხის სისტემური ცოდნა, შეუძლია პრობლემის გააზრება, თუმცა მსჯელობა ნაკლებად არგუმენტირებულია და კითხვებზე პასუხი ნაკლებად ამომწურავია. გარკვეულწილად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს და იცავს დისკუსიის წესებს, აქვს პროგრამაზე გაგრძელების საშუალო მოტივაცია</p>	71-80
4	<p>კვლევის განაცხადი უმნიშვნელო ხარვეზებით შესრულებულია ინსტრუქციის შესაბამისად, ნაწილობრივ არის დაცული ნაშრომის შესრულების ტექნიკური მოთხოვნები, მიმოხილული ლიტერატურა მწირია, დამაკმაყოფილებლად არის დასაბუთებული საკვლევი თემის აქტუალობა, სიახლე, მნიშვნელობა და ინოვაციურობა, კვლევის მიზნები და ამოცანები ფორმულირებულია, თუმცა აკლია სიცხადე, შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია ნაწილობრივ შესაბამისობაშია კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან, კვლევის მოსალოდნელ შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება მწირია. კანდიდატი არასრულად გადმოსცემს საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას, იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას, ნაკლებად იკვეთება საკვლევი საკითხის სისტემური ცოდნა, ბუნდოვანია პრობლემის გააზრების უნარი, მსჯელობა ნაკლებად არგუმენტირებულია და კითხვებზე პასუხი არ არის ამომწურავი, იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს და ცდილობს დაიცვას დისკუსიის წესები, აქვს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების საშუალოზე დაბალი მოტივაცია</p>	61-70
5	<p>კვლევის განაცხადი შესრულებულია ინსტრუქციის შესაბამისად, თუმცა ხარვეზებით. ნაწილობრივ არის დაცული ნაშრომის შესრულების ტექნიკური მოთხოვნები, მიმოხილული ლიტერატურა მწირია, სუსტად არის დასაბუთებული საკვლევი თემის აქტუალობა, სიახლე, მნიშვნელობა და ინოვაციურობა, კვლევის მიზნები და ამოცანები ფორმულირებულია, თუმცა აკლია სიცხადე და არ არის გამოკვეთილი მათ შორის ლოგიკური ურთიერთკავშირი, შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია ნაწილობრივ შესაბამისობაშია კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან, ბუნდოვანია შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიის რელევანტურობა, კვლევის მოსალოდნელ შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება ბუნდოვანია. კანდიდატი არასრულად გადმოსცემს საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას,</p>	51-60

	ფრაგმენტულად იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას, ნაკლებად იკვეთება საკვლევი საკითხის სისტემური ცოდნა, ბუნდოვანია პრობლემის გააზრების უნარი, მსჯელობა ნაკლებად არგუმენტირებულია და კითხვებზე პასუხი მწირია. თითქმის არ იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს და უგულუბელყოფს დისკუსიის წესებს, აქვს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების დაბალი მოტივაცია	
6	წარმოდგენილი კვლევის განაცხადი არ არის შესრულებული ინსტრუქციის შესაბამისად, არ არის დაცული ნაშრომის შესრულების ტექნიკური მოთხოვნები, ლიტერატურის მიმოხილვა არ არის გაკეთებული ან აცდენილია კვლევის მიზანს, არ არის დასაბუთებული საკვლევი თემის აქტუალობა, სიახლე, მნიშვნელობა და ინოვაციურობა, კვლევის მიზნები და ამოცანები ბუნდოვანია, არ არის გამოკვეთილი მათ შორის ლოგიკური ურთიერთკავშირი, შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია არ არის შესაბამისობაში კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან, ბუნდოვანია შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიის რელევანტურობა, კვლევის მოსალოდნელ შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება ბუნდოვანია. კანდიდატი ფრაგმენტულად გადმოსცემს საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას, არ იკვეთება საკვლევი საკითხის სისტემური ცოდნა და პრობლემის გააზრების უნარი, მსჯელობა არ არის არგუმენტირებული და კითხვებზე პასუხი არასრულყოფილია. არ იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს და არ იცავს დისკუსიის წესებს, არ აქვს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია	0-50
	<b>მაქსიმალური ქულა: 100</b> <b>მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: 61</b>	

კონკურსისა და თანაბარი ქულების არსებობის შემთხვევაში კომისია ასევე აფასებს შესაბამის სფეროში კანდიდატის წინარე ნაშრომს/პუბლიკაციას ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას ან/და განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილებასა და შესაძლებლობებს.

განათლების სფეროში კანდიდატის წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება ასევე ფასდება **100-ქულიანი სარეიტინგო** სკალის მიხედვით. ამ შემთხვევაში, კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება კვლევითი პროექტისა და მისი პრეზენტაციის, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციის შეფასების კომპონენტებში მიღებული ქულებისა და კანდიდატის წინარე კვლევითი უნარების შეფასების ქულათა *საშუალო არითმეტიკულით*

**იხ. დანართი 1** - შესაბამის სფეროში კანდიდატის წინარე ნაშრომის/პუბლიკაციის ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილების შეფასების ფორმა



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი  
 განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

**შესაბამის სფეროში კანდიდატის წინარე ნაშრომის/პუბლიკაციის ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილების შეფასების ფორმა**

მიმღები კომისიის წევრი (სახელი, გვარი) -----

აპლიკანტის სახელი და გვარი -----

აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი კვლევითი უნარების დამადასტურებელი დოკუმენტები ფასდება 100-ქულიანი სარეიტინგო სკალის მიხედვით. სარეიტინგო სკალაზე ქულები განლაგებულია ყველაზე მაღალი (91-100 ქულა - საუკეთესო) ყველაზე დაბალ ქულამდე (0-50 ქულა - არადაამკმაყოფილებელი) ჯამური სარეიტინგო ქულა დაანგარიშდება მიღებულ სარეიტინგო ქულათა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლებით.

შეფასების კრიტერიუმები	91-100 (საუკეთესო)	81 - 90 (მაღიან კარგი)	71-80 (კარგი)	61-70 (დამაკმაყოფილებელი)	51-60 (საკმარისი)	0-50 (არადაამკმაყოფილებელი)
განათლების სფეროში კანდიდატის წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება						
ჯამური სარეიტინგო ქულა:						